წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. კვირა, 25 სექტემბერი

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ გვერდზე. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 446 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 446

ანნა ივანეს ასული ამირაგოვი, შუშანა ივანეს ასული კამარიანისა, მარიამ ივანეს ასული ნაზარიანისა, იოსებ ივანეს ძე და მეუღლე მისი მარიამ იაკობის ასული, მიხეილ ივანეს ძე და მეუღლე მისი ოლღა თედორეს ასული ამირაგოვები, მიკირტიჩ ალექსის ძე კამარიანი, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ პირველნი საყვარელი დედის და დედამთილის, უკანასკნელი სიდედრის

## სოფიო ლაზარეს ასული ამირაგოვის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, 25 სექტემბერს, დღით კვირას. დილის ათ საათზე მიცვალებულს შეასვენებენ სომხების ეკლესიაში. 320—1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრის

## გრიგოლ ივანეს ძე ვასილიევის

ცხედრის გამოსვენება საკუთარ ბინიდან (დადიანოვის შესახვევი) მოხდება დღეს, კვირას, 25 სექტემბერს ნაშუადღევის სამ საათზე საიდანაც პირდაპირ წაასვენებენ საფირჩხიის სასაფლაოზე.
121 1—1

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან

## და სიმღერა დაუთავებელი დარჩა

დრამა ხუთ ნაწილად მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით
**ქრონიკა გომონი** უკანასკნელი მიმდინარე ამბავი.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 26 სექტემბრიდან:
**პეტროგრადის ნამირალები,** დრამა პეტროგრადის ავერისტების ცხოვრებიდან. საუკეთესო მსახიობთა მიერ შესრულებული
**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
გ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმმა** **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბაღახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**გამოცდილი მასწავლებელი**
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ უმაღლეს სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

## მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვიდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.
ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.
304—1—თვით.

## ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.

გ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია შეუდგა 1917 წლისათვის ქართული კედლის კალენდრის გამოცემას.
სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, აგენტურებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით მოათავსონ კალენდარში თავისი განცხადებები მეტად ზომიერ ფასად.
298—4—12.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან:

## ცეცხლიანი ეშმაკი

დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ მსახიობ ქალის ხოლოდნაიას მონაწილეობით.
სახუმარო სურათი. **პრეხსი როგორ გახდა ყაჩაღი.** სახუმარო სურათი.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 26 სექტემბრიდან
განსაკუთრებით დიდებისათვის
**ქ-ნ B საარშიყო თავგადასავალი**
მეორე სერია; დრამა 5 ნაწილად ქ-ნ გორიჩევისა და ბ-ნ კოლონსკის მონაწილეობით
**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 3.
კვირას, 25 სექტემბერს 1916 წ.
**წარმოდგენილი იქნება**
**ენგელის**

## ზღვასთან

3 მოქმ. თარგ. ვ. შალიკაშვილისა,

II.

**გაკვეთილებს აძლევენ**

ვოდ. 1 მოქმ.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ.,
რეჟისორის ალ. იმედაშვილი თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან**

**პეტროგრადი.** ოფ. პერონ-ბაპომის ხაზზე ინგლის-საფრანგეთის ჯარის მარჯვე შეტევის გამო უმაღლესმა მთავარსარდალმა შემდეგი დეპეში გაუგზავნა ინგლისის მეფეს:

უდიდებულეს მეფეს. ლონდონი. თავს ვერ ვიკავებ, რომ თქვენს უდიდებულეს და თქვენს სახელოვან ჯარს ჩემი უგულითადესი მილოცვა არ ვუძღვნა მდ. სომაზე ბრძოლის დროს უკანასკნელ სახელოვან მოქმედების გამო.

**ნიკოლოზი.**

**საფრანგეთი რესპუბლიკის პრეზიდენტს.** გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ ჩემი სიხარული და აღტაცება მდ. სომაზე ფრანგების ჯარის მიერ მიხწეულ დიდ გამარჯვების გამო.

**ნიკოლოზი.**

მეფემ სამაგიერო დეპეშები მიიღო.

—

დასავლეთის ასპარეზი. ვლადიმირ-ვოლინიდან მდ დნესტრამდე მედგარი ბრძოლა გრძელდება. ადგილ ადგილ ჩვენმა ჯარმა მოპირდაპირის ადგილები დაიჭირა. მდ. ბისტრიცაზე ბოგოროდჩანის მიდამოში მოპირდაპირის რამდენიმე სადარაჯო ავიღეთ და ტყვებიც წამოვიყვანეთ.

კავკასიის ასპარეზზე. ზღვის სანაპიროებზე, ჩვენი ჯარი ფლოტის დახმარებით მოულოდნელად ეკვეთა მტერს, აქ მდინარე ყარა-ბურდუ სუზე მდებარე მტრის გამაგრებული ადგილი ავიღეთ. მტერი დიდად დაზარალდა. წამოვიყვანეთ ტყვეები. ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და ხელსაწყო. მტრის ზურგის მხარეს დავანგრიეთ მიწურები, ქოხები და თხრილები.

**დობრუჯი.** რუსეთ-რუმინეთის ჯარი წინ იწევს. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 6 ზარბაზანი, რუმინელებმა—7.

**ბალტიის ზღვა.** 20 ენკენისთვეს, მტრის ჰიდროპლანების თავდასხმის დროს, ერთი ჰაეროპლანი ძირს დაეშო და რიგის ყურეში, რუნოს კუნძულთან დავატყვევეთ.

**ათინა** სამინისტრომ გადადგომა ითხოვა.

**ჰავრი.** ბელგიელების ოფიციალი ცნობა. არსებითი არაფერი მომხდარა.

**რომი.** იტალიის ცნობა. მტრის არტილერია დაჟინებით უშენს გორიცის და კარსოს მიდამოებს. ტრავინიოლოს (ავიზიო) ველში ძლიერი სროლის შემდეგ, მტერი რამდენჯერმე ბედგარი იერიშით წამოვიდა და დიდის ზარალით მოვიგერიეთ. კოლბრიკინო-პიკოლოს მხარეს ახალი ადგილები ჩამოვაცალეთ მტერს. მტრის საფრენებმა ყუმბარები დაუშინეს მონფილკს და იზონცოს ქვემო მიდამოებს. მოჰკლეს ერთი, დასჭრეს. ერთი ჩვენმა მფრინავებმა კარსოზე ჩაბრეზინის სადგურს ყუმბარები დაუშინა.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ცნობა. ანკრას სამხრეთით გედეკურსა და ოკურ-ლაბეს მიდამოების შუა მტერი მედგრად უშენდა ზარბაზნებს. ამ ადგილების შუა გზაზედ მოპირდაპირემ იერიშის მოტანა სცადა, თან ხელის ყუმბარებს გვიშენდა. მოვიგერიეთ და ჩვენი თხრილების წინ ბევრი დახოცილი დავატოვებინეთ.

იპრ-ემენის გზის სამხრეთით ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა.

**ბალკანეთში.** ოფიციალი ცნობა. 20 ენკენისთვე ჩვენმა ჯარმა სოფ. ყარაზადკიოის მახლობლად დაიჭირა სერერის გზაზე მდებარე სოფ. ქნიკიოს ნაწილი.

ბულგარელებმა სამჯერ სამაგიეროდ შემოგვიტიეს. მესამე შემოტევის წინ ძლიერი სროლა აგვიტეხეს ზარბაზნებით. ბრძოლა გრძელდება. მტერი დიდად დაზარალდა.

**ათინა.** მეფე გუშინ სადარბაზოდ მიიღო პეტროგრადში დესპანად ნამყოფი, დემეტრაკოპულოსი, დრაგუმისი, სტრატისი და რამდენიმე გენერალი. დღეს მეფემ სადარბაზოდ მიიღო სკულუდისი. საღამოთი კი ეთათბირა მინისტრ-პრეზიდენტს კალაგეროპულოსს. თათბირი გადამჭრელ გზას ვერ დაადგა. მდგომარეობა გამოურკვეველია. მმართველი წრეები დიდს თავშეკავებას იჩენენ მთავრობა გადაჭრილ ზომებს ხმარობს მოძრაობაში აფიცრებისა და მოხალისეთა ჩარევის წინააღმდეგ. სამხედრო პირნი მაინც ახერხებენ ათინიდან გასვლას. კიპროსისა და სხვა კუნძულებიდან მრავალრიცხოვანი მოხალისენი სოლუნისაკენ მიემართებიან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ოფიციალური ცნობით მიმდინარე 1916 წლის 22 მაისიდან 5 სექტემბრამდე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე რუსეთის ჯარის გამარჯვების ნაყოფი შემდეგში გამოიხატება: დატყვევებულ იქმნა 8025 ოფიცერი და 408182 ჯარის კაცი, ნადავლი 531 ზარბაზანი, 1795 ტყვიისფრქვეველი 443 ბომბებისა და ნაღმების სასროლი, 308 საიარაღო ყუთი, 47 პროჟექტორი, 227 ვერსტის სიგრძე ცხენის რკინის გზა თავის მოწყობილობით, 106 ვაგონი, 450 ვაგონეტკები და სხვადასხვა გვარი ქონება საარტილერიო (თოფები და სამხედრო სურსათი) საინჟინერო და საინტენდანტო.

— —

სამხედრო მიმომხილველთა გადმოცემით გერმანიის ჯარის მთავარ სარდლის ჰინდენბურგს თათბირი ჰქონდა გერმანიისავე ცნობილ გენერალ მაკენზენთან და დაუდგენიათ დაუყოვნებლივ გარდამწყვეტი ოპერაციები აწარმოონ რუმინიის წინააღმდეგ.

— —

გერმანიის დიპლომატებმა აცნობეს ნეიტრალურ სახელმწიფოებს, რომ შესაძლებელია წყალ-ქვეშა ომი მთელი თავისი სიმკაცრით განაახლოს გერმანიამო.

— —

პრუსიის სამხედრო მინისტრი ვანდელი სამსახურიდან დაითხოვეს.

— —

კოპენჰაგენიდან ცნობაა, რომ საბერძნეთის სატახტო ქალაქ ათინიდან და სხვა პროვინციის ქალაქებიდანაც დიდძალი სამხედრო პირები მიეშურებიან სალონიკისაკენ, რათა შეუერთდენ მეამბოხეთა არმიას.

— —

კოპენჰაგენიდან გაზ. „უტრო როსსი"-ას ატყობინებს თავისი კორესპოდენტი: ბერლინში ცნობაა რომ საბერძნეთში რევოლიუციონური მოძრაობა შედეგია მოკავშირე სახელმწიფოთა ძალ დატანებისო. მოკავშირეებმა 5000 მეომარი გადასხეს პირეთში და აგრეთვე სალონიკიდან ჯარი მიაშველეს ათინელ მეამბოხეებსო.

— —

საბერძნეთის მთავრობამ წინადადებით მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს, რომ მოგეხმარებით მაგრამ მომეცით სამი თვის ვადა სრული მობილიზაციისა და ჯარების გასაერთიანებლათო. ფიქრობენ რომ ეს გერმანიის ელჩის ნაკარნახევი გეგმაა, რათა მოატყუოს მოკავშირენი და დრო მოიგოს.

# ომის დღიური.

— —

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ვლადიმირ ვოლინიდან დნესტრამდე მედგარი ბრძოლები გრძელდება. ზოგ-ალაგას რუსებმა ოდნავ წინ წაიწიეს.

**კავკასიის ასპარეზი.** მდ. ყარა-ბურდუ-სუზე გამაგრებულ ომალებს რუსებმა ხმელეთით და ზღვის მხრიდან შეუტიეს და დაამარცხეს ისინი.

**დასავლეთის ასპარეზი.** ანკრის სამხრეთით გერმანელთა არტილერია ენერგიულად მოქმედებს. გერმანელთა იერიშები ინგლისელებმა მოიგერიეს. ასპარეზის დანარჩენ ნაწილებში მდგომარეობა უცვლელია.

**იტალიის ასპარეზი** ასპარეზის აღმოსავლეთის ნაწილში თითქმის ყველგან ავსტრიელები ენერგიულად მოქმედებენ: იერიშებს აწარმოებენ მათი არტილერია იტალიელთა პოზიციებს უშენს და მათი საფრენები-კი იტალიის ქალაქებს თავს ესხმიან.

**რუმინიის ასპარეზი.** დობრუჯაში რუსები და რუმინელები ბულგარლებს ავიწროებენ. ტრანსილვანიის ბრძოლების შესახებ ცნობები არ მოსულა.

**მაკედონიის ასპარეზი.** ინგლისისა და ბულგარელთა შორის მედგარი ბრძოლები სწარმოებს.

— —

ათინაში თავი იჩინა მოკავშირეთა მომხრე ახალმა პარტიამ, მაგრამ მას ეჭვის თვალით უყურებენ მოკავშირენი, რადგან ახალ პარტიას სათავეში უდგანან გუშინდელი გერმანოფილები.

— —

ხმა გავრცელდა, რომ საბერძნეთის დედოფალს სოფიას, ვილჰელმ მეორის დას, უკმაყოფილობა მოუვიდა ქმართან მეფე კონსტანტინესთან, თავი დაანება და წავიდა პოტსდამში. ამის მიზეზათ ასახელებენ ვითომც აზრი შეეცვალოს მეფე კონსტანტინეს მეომარ სახელმწიფოთა შესახებო.

— —

რუმინიის მეფე ფერდინანდ ჰოჰენცოლერნი გერმანიის საიმპერატორო გვარისაა. და რადგან მან ომი გამოუცხადა ავსტრო უნგრეთს და მით გერმანიასაც მას გამორიცხვას უპირებენ მისი გვარეულობიდან. ამის შესახებ გაზ. „დიმინსტა" ამბობს: მეფე ფერდინანდმა იმით უნდა უპასუხოს რომ დაასწროს დ თითონ აიღოს ხელი, უარჰყოს თავის გვარი და თავი გამოაცხადოს იოანე მეორეთო.

— —

გერმანიამ აცნობა საბერძნეთის მთავრობას, რომ გემებს, რომლებითაც თავისუფალი მოლაშქრენი მიეშურებიან სალონიკისაკენ დავსძირავთ და დავღუპავთ წყალ-ქვეშა ნავებითო

— —

სალონიკის ბერძენთა ეროვნული კომიტეტი იტყობინება, რომ ახლო მომავალში დროებითი მთავრობა კუნძულ კრიტოსიდან სალონიკში გადმოვაო.

— —

„რუსკოე სლოვოს" იტყობინებენ, რომ რუსეთისაგან სამხედრო იარაღების დაკვეთა იაპონიაში ძალიან შემცირდაო და ამიტომ იაპონელი ფაბრიკანტები სთხოვენ თავიანთ მთავრობას, რათა იშუამდგომლოს რუსეთის მთავრობის წინაშე რუსეთის ახალი სესხის იაპონიაში რეალიზაციის შესახებ. იაპონიის მთავრობა მალე დაიწყებს მოლაპარაკებას ამ საქმის შესახებო.

— —

„რუსკოე სლოვო"-ს იტყობინებენ პარიჟიდან; რომ გერმანელების იერიშები დობრუჯაში არ იყო პასუხი რუმინელთა ტრანსილვანიაში შეჭრისა, არამედ გერმანელებს მიზნათ აქვთ უფრო გრანდიოზული გეგმა, რომლის მიზანიცა ბუქარესტის აღება.

— —

მოკავშირე სახელმწიფოები ურჩევენ რუმინიას რომ ტრანსილვანიაში იგი დაადგეს თავდაცვის ტაკტიკას და იერიში კი აწარმოოს ბულგარეთის წინააღმდეგ.

— —

ოსმალეთში მისულან გერმანელი ინსტრუქტორები, რომელნიც დიდძალ ჯარებს ამზადებენ იქ და ჰგზავნიან ევროპის ბრძოლის ველისკენ.

— —

გაზ. „მორინგ პოსტი"-ს ცნობით გერმანიის დაპყრობილ საფრანგეთის ნაწილში რეიმსის პროვინციაში, სახელდობ ელტენსა და ემმერიხში მოუხსნია საგრძნობელი რიცხვის ჯარები, რომელნიც გამოუგზავნიათ რუსეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტზე.

— —

გაზეთი „ტემპს"-ი იტყობინება რომ გალიჩის დასაცავად დიდძალ გერმანეთ და ოსმალეთის ჯარებისათვის მოუყრია თავი გერმანეთის შტაბს. ბრძოლა სასტიკი, მედგარი და ულმობელი სწარმოებსო.

## სამხედრო მიმოხილვა

უკანასკნელ ერთი კვირის განმავლობაში გალიციაში ბრძოლები დაიწყო; ეს ბრძოლები თანდათან გავრცელდა და მთელ ვლადიმირ-ვოლის-დნესტრის ბრძოლის ხაზს მოედო და დიდი ბრძოლების ხასიათი მიიღო. უცხოეთის გაზეთების ცნობით გერმანელებს გალიჩთან და ვოლინში დიდი ჯარები შეუყრია და გადაუწყვეტია, რათაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ პოზიციები და არ გადაუშვან იქით რუსები.

გალიციის ბრძოლები რუსების დაწყებულია და გერმანელები და ავსტრიელები მხოლოდ იგერიებენ რუსების შეტევას.

მას შემდეგ რაც გერმანელებმა ბალკანეთის ყელის შენარჩუნება დაისახეს მიზნად დაიწყეს მზადება რუმინიაში შესასევან დობრუჯიდან და ტრანსილვანიის მხრით.

რათა ეს არ მოხდეს და, მართლაც გერმანელებმა არ გადალახონ რუმინეთი, რუსები ხელმეორედ ამოქმედნენ გალიციაში და შეტევა იწყეს. შეტევამ უნდა აიძულოს გერმანელები შეასუსტონ ტრანსილვანიის შეტევა და ყურადღება მიაქციოს გალიციის ასპარეზს, ვინაიდგან აქ რუსები გერმანელ-ავსტრიელთა პოზიციების დედა ძარღვს ვოვგალიჩის მიდამოებს ემუქრებიან. თუ ამ ხერხით რუსებმა გერმანელებს ჯარი გადააყვანიეს ტრანსილვანიიდან გალიციაში, მაშინ რუსების მიზანმიღწეული იქნება და გერმანელები და ავსტრიელები ველარ შესძლებენ რუმინიაში შეჭრას.

მაგრამ ამავე ერთ კვირაში გამოირკვა, რომ გერმანელებს ვოლინის ჩრდილოეთ ნაწილში ჯარი შეუგროვებიათ. ამ ჯარის დანიშნულება შემდეგი უნდა იყოს: რადგანაც გალიციაში რუსები წინ არიან წასულები, თავის მხრივ შეტევით ეცადოს რუსების შეკავება.

ამნაირად მდგომარეობა რთულდება და ბალკანეთის „ყელის" გადაჭრა რამდენიმე ხნით ძალა უნებურად უნდა გადაიდვას.

შვერელი.

## ქ. ქუთაისი 24 სექტემბერი.

**ჩვენ და კადეტები.** კადეტების ერთ-ერთმა მწერლმა—რეევკიმ ვითომ მთელი რუსული პროგრესიული საზოგადოების—უფრო კი თავისი დასის სახელით სამდურავი გვითხრა, რატომ 1890 წლის ტიპის ერობა მოითხოვეთო. მეფის ნაცვლის მიერ მოწვეული საბჭოს დადგენილება მეხივით თავს დაგვატყდა და ჩვენ მიერ შემუშავებულ კანონპროექტს წინ გადაეღობაო.

მაგრამ გასაოცარი და საკვირველი უპირველესად ის არის, რომ თვით კადეტების კანონპროექტი მაინცადამაინც დიდად არ გმნსხვავდება არც 1890 წლისა და არც მეფის ნაცვლის მიერ მოწვეული საბჭოსაგან მიღებული კანონპროექტისაგან და ერთობ ჰგავს უკანასკნელს: ერთიცა და მეორეც ამრჩეველთა კურიებად დანაწილებას მოითხოვენ და ამ დანაწილებას საფუძვლად ქონებრივ მდგომარეობას.—და არა წოდებრივს—უდებენ, ერთიცა და მეორეც საერობო ერთეულებს მაზრისა და გუბერნიის საზღვრებით გარეშესწერენ და სხ. და, ბ. რეევსკიმ რომ სარაჟონო, სომხური ერთეულების გამოჰრის იდეა გაიზიარა, ესჰკიჲმისი პირადი აზრია, რომელიც, შესაძლებელია, მისმა დასმა არც კი აღიაროს.

მაშ რისთვის გვიწყრებიან! რამ შეაშფოთა მათი დემოკრატობა? იქნება იმან, ჩვენ რომ გვსურს, საარჩევნო ხმა ყველა მემამულეს მიეცეს, მაშინ როდესაც მათი პროექტი უპირატესობას ვაჭრებსა და მრეწველებს ანიჭებს?!

მაგრამ, ყერ ერთი, ეს ვერაფერი დემოკრატობაა და, მეორე, არც ჩვენ ვიქნებოდით წინააღმდეგი, საარჩევნო უფლებას რომ საგადასახადო ცენზი დასდებოდა საფუძვლად—იმ პირობით, რასაკვირველია, ცენზი რომ პატარა, ე. ი. დემოკრატიული, ყოფილიყო. კადეტების პროექტით კი საგადასახადო ცენზი თუთხმეტ მანეთზე ნაკლები არ იქნება და, უეჭველია, ჩვენი გლეხობისა და აზნაურობის ცხრა მეათედს, საერობო თვითმართველობიდან სრულიად გარიყავს ამგვარია მათი დემოკრატიზმი!

დიაღ! ჩვენი სამამულო ცენზი ათასჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე მათი საგადასახადო! და, ჩვენ რომ ისინი დემოკრატობას გვიწუნებდენ, ცოდვა არ არის?!

მართალია, მათს კანონპროექტში ერთი რამ არის ახალი, ყურადსაღები, რაც ჩვენსას აკლია: საერობო თვითმართველობის დამოუკიდებლობა ადმინისტრაციისაგან, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ვეუბნებით: დღეს მთელი ჩვენი საერობო საქმიანობა ადმინისტრაციის ხელშია. მოგვეცით ისეთი ერობა, რომელიც ამ ხანად იმდენადვე იქნება ადმინისტრაციისაგან დამოკიდებული, რამდენადაც რუსეთშია, შემდეგ კი, როდესაც ერობა ეს დამოკიდებულება რუსეთშიაც გადავარდება, ჩვენი ერობაც განთავისუფლებ ადმინისტრაციისაგანთქო. ისინი კი მათათვის არა ჩვეულ პასუხს გვაძლევენ: ან ძლიერ კარგი ერობა უნდა მოგცეთ ან არავითარი; ჩვენ სათათბიროს ჩვენი კანონპროექტი უნდა წარვუდგინოთ, რომელსაც, უეჭველია, სახელმწიფო საბჭო დაიწუნებს, მაგრამ ოდესმე, ე. ი. რამდენიმე წლის შემდეგ, რუსეთში დიდი რეფორმების ხანა დადგება, თქვენთვისაც გამოიდარებს და [illegible] მათ; მანამდის კი, როგორც აქამდის ვიცხოვრიათ, ისე [illegible] დებათ რაო!

მაგრამ, ცხადია, ეს დემოკრატობას კი არა, გულგრილობას, გულქვაობას, მოასწავებს და სწორედ ამაზეა ნათქვამი: სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გააძვრესო ან, როგორც რუსები იტყვიან, სანამ მზე ამოვიდოდეს, ცვარი თვალებს ამოგვჭამსო.

არ შემიძლია არ აღვნიშნო კადეტთა ორპოფი დემოკრატობის ერთი ნიმუშიც. მათი პროექტით საგუბერნიო საერობო საბჭოს კრებებზე ქართულს, სომხურს, თათრულს, ლეკურსა და სხ. ენებზე ლაპარაკი აკრძალული იქნება და, მაშასადამე, ხალხის უმეტესობას საერობო საბჭოს კრებებზე კარი დაეკეტება! მაშ, რა უფლებით იქადიან დემოკრატობას?!

მაგრამ ცდებიან: ამ დიდის, საერთაშორისო ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც ყველა ერს თანასწორად უდევს წილი, ძველი, დრო მოჭმული იდიალები და ლოზუნგები აღარ გამოდგება და, უეჭველია, კაცობრიობა ახალს საერთაშორისო მცნებებს შეითვისებს. მაშინ კი სხვათა შორის კადეტების ორპოფი პოლიტიკაც ისტორიას ჩაბარდება და ჩაილურის წყალს თან გაჰყვება.

დღეს კი, თუ კადეტებმა ზურგი შემოგვქციეს, ურიგო არ იქნება, ჩვენ მიერ მოთხოვნილის საერობო კანონპროექტის განსახორციელებლად თვით მთავრობასა და თუნდ ოკტომბრელებსა და მემარჯვენეებს მივმართავდეთ. კადეტებმა კი კეთილინებონ და თავისი სამდურავი უკანვე დაიბრუნონ და, ჩვენ თუ მათთან კავშირი გავწყვიტეთ, თავის თავს დააბრალონ.

ვასილ წერეთელი.

## სიტყვები და სინამდვილე.

ყოველი ცვლილება რუსეთის უმაღლეს მმართველ წრეებში რაოდენ იმედებს იწვევს, როგორც ლიბერალურ წრეებში ისე მათიუე გაზეთების ფურცლებზე. ყოველ ახალ მინისტრის დანიშვნაში, ისინი რაღაც ახალი შვების ნიშანს ხედავენ და მისგან სხვადასხვა სიკეთეს მოელიან ხალხისთვის.

რომ მართლდებოდეს ყველა ის იმედები, რომლებიც ახალ მინისტრების დანიშვნას მათში გამოუწვევია, ჴხლა ჩვენზე ბედნიერი ხალხი ქვეყანაზე არ უნდა იყოს,

## ღამე არის შავი, ბნელი!

— —

ღამე არის შავი, ბნელი,
გადაჰკვრია ცას ღრუბელი
და წვიმს... მოდის ნიაღვარი,
იცრემლება მთა და ბარი!
ღამე არის შავი, ბნელი,
არა მძინავს, ჰკრთის სანთელი
და მეც ცასებრ მოღრუბლული
კვლავ ვქვითინებ გულ-მოკლული!
ღამე არის შავი, ბნელი,
არ მასვენებს სევდა მკვლელი;
არვინ არის ნუგეში მცეს,
სევდა ლხინად გადამექცეს!
სულს მიხუთავს მწარე ფიქრი
და ამ ფიქრით სწრაფად მივქრი,
სადაც არ არს მწუხარება,
არ იღვრება მდუღარება!
სულს მიხუთავს მწარე ფიქრი
და გიჟივით შორს, შორს მივქრი.
მსურს, რომ ვპოვო მე სიმართლე,
და ვიხილო კვლავ სინათლე!
სულს მიხუთავს მწარე ფიქრი,
მაგრამ, ნეტავ სად, სად მივქრი?!
რასაც ვეძებ, ვერსად ვნახავ,
სურვილს გულში ჩავიმარხავ!...
ღამე არის შავი. ბნელი,
არა მძინავს, კრთის სანთელი,
და მეც ცასებრ მოღრუბლული,
კვლავ ვქვითინებ გულ მოკლული!

ნაპერწკალი.

— —

## მონოლოგი.

დაჭრილი ჯარის-კაცისა.

ოჰ ღმერთო, როგორ მაწუხებს ეს წყლული, სუნთქვას მიხუთავს და გულს მიკლავს. რა საშინლად მაქვს მკერდი შენგრეული. რა გაამთელებს მას შავი სიკვდილის მეტი?! რა საზარელი სურათია: სისხლის მორევი, აუარებელი მსხვერპლი დახოცილთა გმირებისა და ერთად-ერთი ცოცხალი არსება, ყველასაგან მიტოვებული, ჰრილობისაგან დავრდომილი!

საბრალო გმირებო! ვინ იცის თქვენც ჩემსავით გღრნიდათ შეუხორცებელი წყლული, ვინ იცის რას ჰგრძნობდა თქვენი ბეჩავი გული უკანასკნელ წამებში! სად არის თქვენი სამშობლო, მიწა წყალი და მამა-პაპა, რათა დააპკურონ მდუღარება და შეამკონ თქვენი ობოლი სამარე ყვავილთა ბუჩქნარით?!

სუ!.. თითქოს ვიღაცა გმინავს, კვნესის თითქოს! საბრალო! უსათუოდ დაჭრილია ვინმე. ნეტავ შემეძლოს მივუახლოვდე, შევუმსუბუქო ტანჯვა, მაგრამ რა ვქნა, რომ ვერ ავუდექი ამ ჭრილობას!

ვგრძობ სიკვდილი მიახლოვდება, ნელნელა ქრება ჩემი სიცოცხლის ალიონიც და თან მიაქვს მას ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი. მირბიან, მიჰქრიან წუთები, რომელიც მაერთებენ საუკუნო განსვენებასთან.

ვკვდები უპატრონოდ, უცრემლოდ! მაგრამ, მგონია თანამიგრძნობს ბუნება, რომელიც ჩემსავით აფრქვევს ცრემლთა ნაკადს და ეხვევა მწუხარების ჩადრში. შეხეთ! ძეწნაც კი მოწყენილა, ძირს დაუხრია მას ისედაც ძირს დახრილი შტოები და მდუმარებით დაჰყურებს სისხლით მორწყულ ბრძოლის ველს. ვერხვებიც თითქოს რაღასაც დუდუნებენ. მოხუცი მუხაც წელში მოხრილა და უნუგეშოდ ქვითინებს!

სიკვდილი მიახლოვდება, მაგრამ არ ვკრთი მის წინაშე, არ მაძრწუნებს მისი ძლიერება. არ აშინებს სიკვდილი იმას, ვის მკლავშიაც სდუღს გმირული სისხლი ქართველისა და უცემს მისი მაჯა! და მეც ქართველი სულით და გულით, შვილი ოდესმე ძლიერი ერისა, მაგრამ ეხლა კი ჩაგრულისა, არ ვდრკები, არ მაშინებს სიკვდილი! მაგრამ სამშობლო?... სამშობლო, რომლის შვენებას ველარ იხილავს თვალი?!

ოჰ! როგორ გაგიჟებით მიყვარდა ჩემი დაობლებული სამშობლო, რა ალტაცებით ვფიქრობდი მის კეთილ-დღეობაზე; მოუთმენლად ველოდი მის გადაფურჩქნას, მწყუროდა მომეკლა სურვილი მისდამი სიყვარულისა, მაგრამ არ დამცალდა ვაჰ! რა უდროოდ ვკვდები და მერე ისიც სად? უცხო მხარეს, იქ, სადაც არავინ არ დამიტირებს, იქ სადაც არავინ დააფრქვევს ცრემლთა მდუღარებას ჩემ საბრალო, უპატრონო საფლავს. ოჰ! სიკვდილო, სიკვდილო შე ტიალო, მაცალე კიდევ ვიხილო ჩემი ძვირფასი, პაწია სამშობლო, უკანასკნელად ჩავეკრა და ჩავეწებო მის მრავალ-ტანჯულ გულს, გადუკოცნო უტკბესი ბაგენი, რათა სამარეში თან არ წამყვეს მისდამი სევდა!

ეხლა კი ვკვდები, სისხლიდან დავიცალე. მშვიდობით! მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ, ჩემო ყველავ, მივდივარ და თან მიმდევს შენდამი ტრფობა, მივდივარ შენს უნახავი იქ, საიდანაც აღარავინ არ ბრუნდება!

იტირე და იგლოვე, საქართველო, ჯერათ ნორჩი, უდროოდ მოწყვეტილი, შენს კალთაზედ გადაშლილი ყვავილი და მოუძღვენ მას შორიდან უკანასკნელი სალამი!

ნაპერწკალი.

## დაფნისი და ქლოია,

**ანტიური მოთხრობა ლონგუსისა.**

იხ. „სამშ". № 443

**წიგნი მეორე.**

1. შუაგული შემოდგომა იყო. ყველა რთველისთვის მზადებაში იყო გართული; ყურძნის გახურებული კრეფაა; ზოგნი საწნახელს ამზადებენ, მეორენი ქვევრებს რეცხენ, აგერ კალათებსა სწნავენ, იქ საქაჩავ ქვას მოარგებენ, რომ გაუადვილდეთ ყურძნის დაწურვა, ტყავს აძრობენ ტირიფის ნეკერს და ჩირაღდნებს ამზადებენ, რომ გაინათონ და საწნახელიდან ქვევრში გადაცალონ ჯერ კიდევ აუდუღარი მაჭარი; დაფნისმა და ქლოიამ მიატოვეს დროებით ცხვარ-თხის ფარა და ოჯახში ეხმარებიან. დაფნისს კალათით მოაქვს ყურძენი და შემდეგ საწნახელიდან კასრში გადააქვს ტკბილი; ქლოია სადილს უმზადებს მკრეფავებსა და მწურავებს, უხვად შესთავაზებს ძველ ღვინოს და ხან რთველში ეხმარება—დაბლა დაწეულ მტევნებსა სჭრის.

ძლიერ დაბალი ვაზი იცის კუნძულ ლესბოსზე; იმის ნაცვლად რომ ხეზე აუშვან ვენახი, ისე აწვენენ დაბლა, რომ ახლად ფეხადგმული ბავშვიც კი შესწვდება მტევანს.

2. ბახუსის დღესასწაულის ჩვეულებისამებრ, როდესაც მაჭარი სდუღს,—ახლომახლო სოფლის ქალები მოიწვიეს მკრეფავთა დასახმარებლად. ვერა ძღებოდნენ დაფნისის მზერით, ქებას შეასხავდნენ მის სილამაზეს, რომელიც ბახუსს არ ჩამოუვარდებოდა. ერთმა ყველაზე გაბედულმა გადაჰკოცნა კიდეც, რითაც ძლიერ ასიამოვნა დაფნისი, სამაგიეროდ ქლოია გააბრაზა მისმა ქცევამ. საწნახელში მდგომნი კი ქლოიას ეთამაშებოდნენ და ეოხუნჯებოდნენ; ქაჯივით ხტუნავდნენ გარყვნილ ვაკხანელთა დანახვაზე და ცხვრებად ან თხებად ყოფნას ნატრობდნენ, რომ ქლოიასთანა მწყემს ასდევნებოდნენ. სიცილად არ ჰყოფნიდა ქლოიას მათი ოხუნჯობა, დაფნისი კი გულზე სკდებოდა ჯავრით.

ხოლო ორივენი მოუთმენლად ელოდნენ იმ ნეტარ ჟამს, როდესაც რთველი მოთავდებოდა და კვლავ დაუბრუნდებოდნენ ისინიც ნაცნობ ველ-მინდორს, სადაც მხოლოდ სალამურის ხმას და ბატკანთ ბღავილს მოისმენდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ კიდეც დასრულდა ყურძნის კრეფა, ვებერთელა კასრები დაავსეს ტკბილით, მოხმარებას აღარ საჭიროებდნენ და ისინიც დაუბრუნდნენ საყვარელ თხებს, და ცხვრებს. მხიარულთ ფერიათა გამოქვაბულისაკენ გასწიეს სალოცავად და ლაჟღაჟი ყურძნის მტევნები შესწირეს ძღვნად. არასოდეს არ ჴზარებოდათ ფერიათა ასეთი პატივისცემა. ყოველ დილას ხოტბას შეასხამდნენ ღმერთებს და სალა-

ახლად დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრს პრესის წარმომადგენლებისათვის წინასწარ გაუცვნია მოკლეთ თავის პროგრამა და სხვათაშორის უთქვამს: „ჩემი სურვილია: რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოყოლილ სხვადასხვა ეროვნებათა მდგომარეობა გაუმჯობესდეს“.

ალბად მინისტრს აზრად ჰქონია, მეტი უფლებანი მიანიჭოს წვრილ ეროვნებათა და საერთოდ კი მეტის ყურადღებით მოეპყრას მათ მოთხოვნილებას.

სამწუხაროდ, წარსულმა ისე გაგვიტეხა გული, რომ არავითარი საბუთი არა გვაქვს დავუჯეროთ მთავრობის მიერ „სამინისტრო კაცად“ ცნობილ „პროგრესისტის“ დაპირებანი.

განა ცოტა დაპირება მოგვისმენია?! მაგრამ არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა

აი ეხლაც, ისეთი ლიბერალური პარტიაც კი, როგორსაც შეადგენენ კადეტები ერთიანად წინააღმდეგია ქართველების მიერ მოთხოვნილ მე 90 წლის [illegible] პროექტის კავკასიაში შემოღების და რაღაც ახალ საერობო პროექტის მოსაპოვებლად იწვევს ქართველებს;

თუ რუსეთის კადეტები და პროგრესისტები ქართველებისათვის და საერთოდ კავკასიისათვის რუსეთში არსებულ მე 90 წელს შემოღებულ ერობასაც არ იმეტებენ, განა

მოსალოდნელია, განაპირა ერების რაიმე უფლებრივი აღდგენა და მათი გულის წადილის მოსმენა!?

არა და არა!

ტყუილად დავამყარებთ მასზე იმედებს.

ცხადია შინაგან საქმეთა მინისტრის ზემოხსენებულ სიტყვებში, მხოლოდ ერ- თვგარ „ხელის მოხდენილი გაქნევაა“ რომელშიაც მოხდენილობის მეტი არაფერია.

როგორც ახალ მინისტრს მას სჭრია საზოგადოებრივი ნდობის მოპოება, რათა სათაბიროში უმრავლესობა ყავდეს თანამოაზრედ და უფრო ადვილად და მწყობრად გაატაროს თავის პროექტები; მისი პოლიტიკა დამოკიდებული იქნება მთავრობის საერთო პოლიტიკის მიმართულებაზე და მაშასადამე სათათბიროზე გავლენის მოპოებით ის უფრო გაადვილებს მთავრობის პროექტების განხორციელებას.

ამნაირად, პროტოპოპოვს თვითონაც კი დაავიწყდება თავისი სიტყვები, როგორც ეს არა ერთსა და ორ მოლიბერალო მინისტრს მოსვლთა;

და ცხოვრება კი ისევ ძველი გზით წავა.

კატონ კობახიძე.

## პრესის მაგიერი.

### ფედერალისტების და დაშნაკცატენების ქათინაურები.

,,სახალ. ფურცელს'' ხშირათ უყვარს სომხურ ჟურნალ გაზეთებიდან წერილების გადმობეჭდვა „სომხური პრესა“-ს სათაურით. უფრო ხალისით კი ისეთ წერილებს ბეჭდავენ სომხურიდან, რომლებშიაც ეხებიან სომხები სახალხოელებს და ქათინაურებს უძღვნიან ფედერალისტების მესვეურებს ,,სახ. ფურცლის'' მე 679 № ში გადმობეჭდილია გაზ. ,,ჰორიზონი''-იდან ერთი ასეთი წერილთაგანი. „სახ. ფურცელი“ დაიმედებული აცნობებს თავის მკითხველებს გაზ. „ჰორიზონ“-ის აღმოჩენას, რომ „სომეხ-ქართველთა“ ურთიერთობის საკითხმა თანდათან ისეთი გამორკვეული ფორმა მიიღო, რომ, გვგონია, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც ორი მეზობელი ერი ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოვა, როგორც თავიანთი ეროვნული იდეალების განსახორციელებლად, ისე კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების წინ წასაწევად. რამდენიმე თვის წინად ზოგიერთ პუბლიცისტთა წყალობით, რომლებიც ამღვრევენ წყალსა და დავაში ანთხევენ შხამსა და ნაღველს საკითხი მეტად გართულდა, მაგრამ ეხლა საკითხს ორივე მხარე კეთილის განზრახვითა და ადამიანის ღირსების შესაფერისი კილოთი არკვევს. ხელოვნური სირთულე საკითხისა ისპობა და დიდიხნის სომეხ-ქართველთა „უთანხმოება“ უბრალო საკითხად იქცევა“. ყურადღება რომ არმივაქციოთ სომხის ბურჟუაზიის ანტიქართულ პოლიტიკას--ამბობს ბ. არ. ჯ-შვილი,--ქართველებსა და სომხებს შორის სადავო საკითხები აღარ დარჩებაო. ზემოხსენებული ანტიქართული პოლიტიკა იმავე ბ-ნი ჯ—შვილის წერილში ასეთს ფორმას იღებს: სომხის ბურჟუაზიის ნაწილი იმ ძლიერი პოზიციის წყალობით, რომელიც თფილისში უკავია, საქართველოს სოციალურ პოლიტიკურ საკითხებს თავისთვის სასურველ ფორმასა და ტონს აძლევს. ასეთი მდგომარეობა არა, ნორმალურია და ქართველებიც ცდილობენ და უნდა ცდილობდენ კიდეც იმდენათ დაასუსტონ პლუტოკრატია თფილისში, რომ ქართულ საკითხების გადაწყვეტაში მან გავლენა ვეღარ მოახდინოს. აი ფორმულა სომეხ-ქართველთა უთანხმოებისა თანახმად ბ-ნი ჯ—შვილისა. ჩვენა გვგონია, საკითხი თავიდანვე რომ ამ ნაირად დასმულიყო ბევრს სიმწარესა და ერთმანეთის შეურაცხყოფას ადგილი არ ექნებოდა, მაგრამ რა ვქნათ, წარსული წავიდა, გვიხარიან რომ ჩვენ მაინც შეგვიძლიან პირისპირ დავდგეთ და ვილაპარაკოთ.

როგორც ჰხედავს მკითხველი ჰორიზონელები კარგ გუნებაზე დაუყენებია ბ-ნ ერ. ჯ—შვილის წერილს და ისინიც უძღვნიან ქათინაურებს. „სახ. ფურცელი“ არავითარ შენიშვნას არ უკეთებს ხსენებულ წერილს და ალბათ იგი ეთანხმება „ჰორიზონს“ მისი ფორმულის რედაქციაში, რომ ქართველები უნდა ცდილობდენ სომხის პლუტოკრატიის დასუსტებას მხოლოდ თფილისში, რომ ქართული საკითხების გადაწყვეტაში მან გავლენა ვეღარ მოახდინოს. ასეთი უკან ხევა „სახალხოელებისაგან“ არაა გასაკვირი, მარა რას ეუბნებიან მათ მკითხველებს ნუ თუ აღარ ახსოვთ რას სწერდენ ისინი და „ჰორიზონელები“. სხვა რომ არა ვსთქვათ თელავის, სიღნაღის, გორის და თვით თფილისის საქალაქო არჩევნების წინა დღეებში. ალბათ მხოლო არჩევნების შემდეგ შეიძლება ასეთი ქათინაურები და ლათაიები უძღვნიან მათ ერთმანეთს.

# ახალი ამბავი.

✦ ქუთაისის ქალთა წრე 28 სექტემბერს ოთხშაბათს მოაწყობს ქალაქში ყულაბებით ფულის მოგროვებას. შეწირული ფული მოხმარდება კავკასიის არმიისათვის თბილი საცვლების მატერიის შეძენას. ხსენებული ქალთა წრე სთხოვს მსურველებს მონაწილეობა მიიღონ შეწირულების მოგროვებაში და დროზე ჩაეწერნენ. ყუთებს დაურიგებენ 26 მიმდინარე სექტემბერს საღამოს 5 საათზე მიწათ მოქმედების სამმართველოში.

✦ ორშაბთს, 26 სექტემბერს დილის 11 საათზე ქუთაისის რეალურ სასწავლებლის შენობაში მოხდება მშობელთა წრის დელეგატთა კრება: განხილული იქნება:

1. წრის საბჭოს მოქმედებისა და ხარჯის ანგარიში წარსულ წლისა 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება 3. პროგრამისა და მომავალ წლის ხარჯთ აღრიცხვა

✦ მოსკოვის ქალ. გამგეობამ შეატყობინა ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან მოსკოვის ქალაქის გამგეობასთან დაარსდა საიმფორმაციო ბიურო, რომელსაც შეუძლია მიაწოდოს ცნობები დაჭრილ მოსკოვში მყოფ და მოსკოვზე გავლილ და დაავადმყოფებულ ჯარის კაცის შესახებ.

ცნობების შესატყობად მარკები არ არის საჭირო.

✦ ქუთაისის ქალაქის გამოგებამ გუბერნატორს შემდეგი ვაჭართა გვარები წარუდგინა ნიხრზე ზევით საქონლის გაყიდვისათვის დასჯარიმებლად ს. ი. დვალი, გ. რუსიშვილი, დ. ზ. იმედაშვილი. დუქნების ანტისანიტარულ მდგომარეობისათვის კი გ. ნ. ბურჯანაძე აპ. ლ. ჰიჰინაძე.

✦ 23 სექტემბერს საღამოს 7 საათზე ქუთ. მაძებარ პოლიციის ზედამხედველი ალექ. ლორთქიფანიძე პოდგორნი ქუჩით მიდიოდა ამ დროს ლორთქიფანიძეს ჩამოქრალ სანთლებიანი ფაიტონი გაუჩერებია და შიგ მჯდომთათვის ვინაობა უკითხავს, მათ ფაიტონიდან ჩამოსვლისთანავე რევოლვერი უსვრიათ ლორთქიფანიძისათვის უკანასკნელი პირში დაჭრილი. ორივე ბოროტ-გამზრახველი მიიმალა.

✦ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ საზოგადოების ყურადღება შემდეგ მოვლენაზე. ამასწინეთ ოზურგეთში გაიხსნა ქალთა სასწავლებელი. ამ სასწავლებლის გამხსნელები არწმუნებენ საზოგადოებას, რომ ეს სასწავლებელი სრულ უფლებიანიაო ავტორიტეტული წყაროებიდან კი ჩვენ გადმოგვცემენ, რომ ეს სასწავლებელი პროგიმნაზია კი არ არის უბრალო კერძო დაბალი ქალთა სასწავლებელია, და ამ სასწავლებლის მოწაფეები არავითარი უფლებით მთავრობის შკოლებში გადასვლის დროს არ სარგებლობენ და მშობლები შეცდომაშია შეყვანილიო.

✦ კავკასიის სამთომადნო გამგეობამ ინგლისელ ქალს დელფინა მიხ. ვან-მერბერკს ნება დართო ზედა რგანში სოფ. „გარემოსა“ და „საჭუროში“ ქვა ნახშირის დამუშავებისა.

✦ სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში გრ. გველესიანს ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების სახელით განცხადება შეუტანია რომ ხსენებულ საზოგადოებას აჭარის სოფლების იჯარის ფულის შეტანა ამხანად ვერ შეუძლია, ითხოვს ადროვონ საზოგადოებას ამ ფულის გადახდა.

✦ კ. დ. მაჭავარიანს ქუთ. ქალ. გამგეობისათვის წარუდგენია ქ. ქუთაისის და მისი გუბერნიის ისტორიული, არქეოლოგიური და თან ახლანდელ მდგომარეობის განხილვა.

✦ ქუთაისში მალე უნდა გაიხსნას საავათმყოფოები ორი ათასი დაჭრილისთვის. დაწვრილებით ამის შესახებ ცნობებს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

✦ დღეს დილის 11 საათზე ქალაქის გამგეობაში დანიშნულია ვაჭრების კრება, რომელზედაც უნდა აირჩიონ ვაჭრების სტაროსტა. კრება საყურადღებოა და იმედია ბევრი დაესწრება.

✦ ამ ახლო მომავალში ქუთაისში გაიხსნება ქართული ისტორიული მუზეუმი, რომელიც მოთავსებულია ქალაქის საკუთარ შენობაში საკათედრო (ტაძრის მახლობლათ პირველი აფთიაქის ზემოთ სართულში.

✦ იმპერიის სამრევლო შკოლების მეთვალყურის თანაშემწე გიორგიევსკიმ მოიარა იმერეთის და გურია სამეგრელოს ეპარქიები ინახულა ზოგიერთი შკოლები და გუშინწინ გაემგზავრა პეტროგრადში.

✦ მოწამეთის მონასტრის მღვდელ მონაზონი პავლე (ჯაფარიძე) უწმინდესი სინოდის უკაზით დაინიშნა ჭელიშის მონასტრის წინამძღვრათ იღუმენის ხარისხით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თბილისი.

— ქართული სტამბა პეტროგრადში. ამ ჟამად თბილისში იმყოფება ბ-ნი ალ. არაბიძე, რომელსაც მოუწყვია სტამბა პეტროგრადში და ქართულ ასოების შესაძენად არის ჩამოსული.

— ქართული ჟურნალი რუსულ ენაზე. პეტროგრადში ამ მოკლე ხანში გამოიცემა ყოველ თვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი რუსულ ენაზე: „საქართველოს მოამბე“ გამომცემლობა უკვე უკისრია ერთ მხცოვან რუს მანდილოსან ქალს, ასე რომ ფულით ჟურნალი უზრუნველყოფილია. ჟურნალის სარედაქციო ნაწილს აწარმოებენ ბ ნი ალ არაბიძე, თ-დი ალ. ნ. ჩერქეზიშვილი. ბ. ბ. ქორქია, ბალანჩივაძე და სხვ. მოწვეულ არიან თანამშრომლებად როგორც სატახტო ქალაქების ისე საქართველოს სხვა და სხვა კუთხის საუკეთესო ძალები. ჟურნალის მიზანია გააცნოს რუსეთის ფართე საზოგადოებას საქართველოს წარსული და აწმყო ცხოვრება მთლიანი სახით.

— ქართული წიგნთ საცავ-სამკითხველო პეტროგრადში. პეტროგრადის ქართულ-საქველმოქ. საზოგადოება აპირებს გახსნას პეტროგრადში ქართული წიგნთსაცავ სამკითხველო.

— ი. გრიშაშვილი. აპირებს თვიურ კაზმულ მწერლურ ჟურნალ „ლეილას“ გამოცემას.

## გიორგი მუშლაძის შეურაცყოფის გამო.

სულის აღმაშფოთებელი ამბავი გვაუწყა გაზ. „სამშობლომ“ ოზურგეთის ბანკის თავჯდომარის ალმასხან კალანდაძის მიერ ჩადენილი, რომ ის მიპარვია და ჯოხით რამდენჯერმე თავში უცემია ჩვენი – მოწინავე საზოგადოების ერთი წევრისათვის მწერალ გ. მუშლაძისთვის.

იმედი მაქვს ალმასხან კალანდაძე შესაფერ მსჯავრს მიიღებს განათლებულს საზოგადოებისაგან, ხოლო მის თანაგრძნობას გიორგი მუშლაძისადმი უერთებ ჩემს გულწრფელ თანაგრძნობას.

გ. ბრეგაძე

## რა სწადია გერმანიას

გაზ. საქართველოს მე 211 №შ ბ—ნს ვ. ლელიანს მოჰყავს ცნობილ გერმანელი პუბლიციტს პაულ რორბახის აზრი იმის შესახებ თუ რა მიზნის განხორციელება სწადია გერმანიას ამ ომით რორბახის აზრით გერმანიის უმთავრესი მეტოქე რუსეთია. ყველაფერი ხელს უწყობს რუსეთს რომ საშიშარი შეიქნეს იგი მომავალში გერმანიისათვის და ამიტომ იგი ამბობს: „რუსეთის შესუსტება უნდა მოხდეს უკრაინის ჩამოცილებით. მართალია უკრაინის სეპერატიული მოძრაობა იმდენათ ძლიერი არ არის რომ მან საკუთარი ძალით გათიშოს რუსეთის იმპერია, მაგრამ თუ თანამედროვე მსოფლიო ომი შესძლებს 35 მილიონი კრაინელის გამოცალკევებას, ახლო მომავალში ეს ხალხი უფრო და უფრო განშორდება მოსკოვსა და ველიკოროსობას უკრაინა უფრო მდიდარია ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთის რუსეთი, მას შავი ნაყოფიერი ნიადაგი აქვს, რკინისა და ქვანახშირის მდიდარი მადანი, ახალგაზდა ლიტერატურა და ეროვნული ტრადიციები. თვით კავკასია თავის ნავთის წყაროებით უფრო უკრაინის ფარგალში შედის, ვიდრე მოსკოვში. ამ გვარათ უკრაინას ყველაფერი აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობისათვის და ისეთი არაფერი სჭირია, რაც მას მოსკოვთან აკავშირებდეს.

უკრაინის ჩამოცლით რუსეთს შავი ზღვის ნაპირები წაერთმევა, მაშასადამე, გზა დაეხშობა კონსტანტინოპოლსა და მცირე აზიისაკენ. მაგრამ ეს საკმაო რ არის

მოთი სახლში დაბრუნების ჟამსაც ევედრებოდნენ. ყოველთვის სწირავდნენ რასმე- ყვავილებს, ხილს, დაფნის გვირგვინს, თხისა და ცხვრის რძეს. არც ღმერთებმა დაივიწყეს მათი ერთგულება და სამაგიერო გადუხადეს.

ეხლა კი ხბოსავით დაიწყეს კუნტრუში მწვანეზე, სალამურს უკრავდნენ, მღეროდნენ და ცხვრებსა და თხებზე ნაკლებ არ ჰიდაობდნენ.

3. ასე მხიარულად რომ ატარებდნენ დროს, ერთი ნადირის ტყავში გახვეული მოხუცი მიუახლოვდა მათ, ტყავისავე ფეხსაცმელები ეცვა, მხარზე ძველი ჩანთა ეკიდა. მიუჯდა მათ და უთხრა:

— ჩემო ბავშვებო, მე მოხუცი ფულეტორი ვარ. ოდესღაც მეც ვიმღეროდი ლექსებს ფერიათა სადიდებლად, სალამურსაც უკრავდი პანის პატივსაცემად, უთვალავი ხარები მყავდა, რომელნიც ჩემს ხმაზე დამდევდნენ უკან. ეხლა კი თქვენთან იმიტომ მოველ, რომ გიამბოთ, რაც ჩემი თვალით ვიხილე და ჩემი ყურით ვისმინე. ერთი ვენახი მაქვს, რომელსაც მე თვითონ უვლი. იმ დღიდან შემიყვარდა ის ბაღი, როდესაც ხარების მწყემსობა ვეღარ შევძელ. ამ ბაღში სხვადასხვა დროის ყვავილნი და ბალახი მოდის: გაზაფხულზე—ვარდი, შროშანი, სუმბული, ჩვეულებრივი და „ორნაგი“ ია; ზაფხულობით—ყაყაჩო, მხალი, ყოველნაირი ვაშლი; ამ ჟამად კი—ყურძენი, ლეღვი, ბროწეული, მწვანე მირსინი. ყოველ დილას მოფრინდებიან ჩიტები, ზოგნი ხილის საჭმელად, ზოგნი საგალობლად, რადგან ძლიერ მყუდრო ადგილზეა გაშენებული ჩემი ბაღი და დაჩრდილული სამი მხრიდან ირწყება; უბრალო ჰალო ეგონებოდა ადამიანს, ეკლის ღობე რომ არ ჰქონდეს შემოვლებული.

4 შუადღეზე ბაღის დათვალიერების ორის ბროწეულისა და მირსინის ჩრდილში თვით ბროწეულისავე და მირსინის ნაყოფით ხელში შევამჩნიე პატარა ბავშვი; თეთრი ვით რძე, მზის სხივებისავით მოხასხასე ოქროსფერ თმიანი, ქორფა, ვით ახლად ნაბანი. შიშველი, მარტოდ ჰკრეფდა ხილს და დათარეშობდა, თითქო საკუთარ სამფლობელოშიაო. დავედევნე დასაჭერად ცელქ და მოუსვენარ ბავშვს, რომ ტოტები არ დაემტვრია ბროწეულისათვის, მაგრამ ხელიდან გამისხლტა და ხან ვარდის ბუჩქებში შეიჭრებოდა, ხან კაკაბივით, ყაყაჩოში იმალებოდა. ბევრჯელ გამოვკიდებივარ ციკანსა და ხბოებს; ისინი დამიქანცავს სარბილით და დამიჭერია, მაგრამ ბავშვი ვერ ვიგდე ხელში. დაქანცული, ბოლოს ყავარჯენს დავეყრდნე თვალს ვადევნებდი, რომ არ გამპაროდა და ვკითხე, რომელი მეზობლისაგან არის ბაღში ხილის მოსაკრეფად მოგზავნილი. სდუმდა, არ მიპასუხა, მხოლოდ მომიახლოვდა და ისეთი სინაზით შემხვდა, ისეთი ღიმი აათამაშა ალისფერ ტუჩებზე, რომ გული მომილბა და აღარ გავჯავრებივარ. დვუწყე ხვეწნა-მუდარა, არ მომრიდებოდა და მომხვეოდა: მირსინის მადლს ვეფიცებოდი, რომ არ დავიჭერდი, პირიქით, ბევრ ვაშლსა და ბროწეულს შევთავაზებდი. ნებას ვრთავდი, სურვილი სამებრ, როდესაც და რამდენიც უნდოდა მოეკრიფა ხილი, ოღონდ კი ერთი ეკოცნა ჩემთვის.

5. ბავშვმა გულიანად გადიკისკისა და მისი ხმა ბევრად ნაზი იყო ბულბულის, მერცხლისა და მომაკვდავი გედის სიმღერაზე, როდესაც ისიც ჩემსავით მოხუცია.

— უარს არ გეტყოდი, ფილეტას: სიამოვნებით გაკოცებ, რადგან მეც ისევე მწყურიან კოცნა, ვით შენ შენი დაკარგული და დაუბრუნებელი ახალგაზდობა და სიჭაბუკე. მაგრამ დაფიქრდი კარგად, თუ დაგრთავს ნებას ასეთი ნობათის მიღებისას შენი ხნოვანება? რადგან, როგორი მოხუციც არ უნდა იყო, ჩემს დაჭერასაც მოისურვებ კოცნის შემდეგ. ჩემი დაჭერა კი არ ძალუძს არწივს, შევარდენს და ან თუ კიდევ არის რომელიმე ფრთა მარდი ფრინველი. გარეგნობით ბავშვს ვგევარ, ხოლო ნამდვილად ისეთივე მოხუცი და დიდი ხნის ვარ, ვით ზუალი (სატურნი)—მსოფლიოზე ადრე ვარ გაჩენილი. კარგად მახსოვხარ, როდესაც ახალგაზდობისას ამ ადგილებში მწყემსავდი ნახირს,—შენთან ვიყავ, როდესაც ამარილის გიყვარდა და წიფელის ჩრდილქვეშ სალამურს უკრავდი. ვერ მამჩნევდით, თუმცა კი ძლიერ ახლოს ვიყავ გასათხოვართან და შენთანაც. ის მე გაჩუქე და თქვენმა კავშირმა წარმოშვა კეთილი მწყემსნი და მხვნელ-მთესველნი ეხლა კი დაფნისსა და ქლოის ვმფარველობ. დილაობით ვაერთებ და ვაკავშირებ მათ, ვესტუმრები შენს ბაღს და აქ ვერთობი ყვავილ-ნარში, ანკარა მდინარეში ვბანაობ. აი რატომ არიან ასე მომხიბლავი შენი ყვავილები: ჩემი ნაბანით ირწყებიან ისინი. დაათვალიერე ბაღი ერთ მოტეხილ ყლორტს თუ მაინც ნახავ სადმე, ან მოგლეჯილ ნაყოფს, ფეხქვეშ გასრესილ ყვავილს ან წყაროს ამღვრეულს! იხარებდე! იხარებდე, რადგან სიბერის ჟამს შენ ერთმა იხილე ადამიანთ შორის ბავშვი-სიყვარული.

გ. მუშლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანსლავიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლათ. რუსობა მრავალ რიცხოვანი ხალხია, ის არა ჩვეულებრივი სისწრაფით მრავლდება და წელში ადრე გასწორდება თუ ეხლავე საფუძვლიანად არ მოიდრიკა ამიტომ მას უნდა დაეხშოს მთავარი კარიბაჭე პეტრე დიდის მიერ გაჭრილი ევროპაში გასასვლელად. თუ რუსეთს დღესვე ფინლიანდია, სასტზეის მხარე და ლიტვა არ ჩამოერთვა, ხვალ ის თვით მიიტანს იერიშს სკანდინავიის სახელმწიფოებზე და ხელში ჩაიგდებს ატლანტ ოკეანეს ნაპირებზე მდებარე ნავთ სადგურებს".

როგორც მკითხველი ჰხედავს ძალიან დიდი მადა ჰქონიათ გერმანიის იმპერიალისტებს თუ ეს დიდი, ლუკმები ყელზე არ დაადგათ.

## თფილისის აბანოების გარშემო.

ტემპერატურის სიმაღლით და სამკურნალო თვისებით თფილისის აბანოებს პირველი ადგილი უჭირავთ არამც თუ მარტო კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთში. ამიტომ იგი დიდი ხანია, რაც ყურადღებას იპყრობს, როგორც საზოგადოების ისე მთავრობის წარმომადგენლებისასაც.

1888 წ., მაშინდელმა თფ. საბჭოს ხმოსანმა ნ. ნიკოლაძემ მოსაზრება წარუდგინა ხსენებულ საბჭოს საბალნეოლოგიო სადგურის დაარსების შესახებ, რაიცა გამოიხატებოდა იმაში, რომ ქალაქ თფილისს გამოესყიდა ყველა მესაკუთრეთაგან აბანოები, გაეკეთებია და მოეწყო ევროპიულათ საბალნეელოგიო სადგური აბანოებით, სასტუმროებით, ბაღებით, გასართობებით და სხვ. გაეყვანათ იქ საუკეთესო გზები. ამის განსახორციელებლათ საჭიროა დიდი თანხა და ამის მოსაპოებლათ ნიკოლაძე მიუთითებდა საბჭოს სესხზე. ნიკოლაძის აზრით თუ საბალნეოლოგიო სადგურს ქალაქი სათანადოთ მოაწყობდა, იგი მოიზიდავდა ზამთარ-ზაფხულ აუარებელ სტუმრებს, არამც თუ კავკასიისა და რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან, არამედ საზღვარ გარეთიდანაც, რითაც ქალაქი არამც თუ აინაზღაურებდა მასზე დახარჯულ თანხას და ვალს გაისტუმრებდა არამედ იგი იქცეოდა თფილისისათვის ერთ საუკეთესო შემოსავლის წყაროთ. ნიკოლაძის მოსაზრება იმდენათ საბუთიანი იყო, რომ მის წინაალმდეგ არავინ წასულა პრინციპიალურათ. საბჭომ კომისიაც კი აირჩია ამ საქმის გამოსარკვევათ, მარა ეს მხოლოდ ფორმალურათ. მას შემდეგ 1904 წელსაც აირჩიეს ამ საქმისთვის ახალი კომისია, მარა არც წინანდელს და არც შემდეგ კომისიებს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია თავისი მუშაობა. ამისი მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ არა მარტო ამ საქმის სირთულეში, არამედ თფილისის საბჭოს უმრავლესობის შემადგენლობაში. საქმე იმაშია, რომ ქ. თფილისის თვითმართველობაში დიდიდან მისი შემოღებისა უმთავრესად გაბატონებულნი არიან სომხის პლუტოკრატიის წარმომადგენელნი და თუ ვიგულისხმებთ, რომ ამ უკანასკნელთა მომავლი ნებლებმა ხელთ იგდეს თბილისის, როგორც ყოველგვარი სიმდიდრე, ისე თფილისის აბანოებიც, ადვილი ასახსნელია თუ რატომ გაჭინაურდა, ესოდენ ხანს ამ მეტად სიმპატიური და სასარგებლო საქმის—თფილისის საბალნეოლოგიო სადგურის საკითხის გადაწყვეტა.

აბანოების და მათთან მიმავალ გზის პირათ მდებარე სახლების (გზების გასაფართოებლათ) თუნდ გამოსყიდვასაც ძნელად შეურიგდებიან მათი ფლობელი სომხის პლუტოკრატები, რომელთა სურვილის წინაალმდეგ ვერ წავიდოდენ მათნი რჩეულნი, თფილისის ქალაქის თვითმართველობის მესვეურები.

დღემდე ასე იყო, მაგრამ აი ასტყდა საერთაშორისო ომი. ამ ულმობელ ქლეტა ხოცვაში დაჭრილ დაავადებულ დასნეულებულ ჯარისკაცებზე ზრუნვა ევალება სახელმწიფოს. ამიტომაც მთავრობამ ყურადღება მიაქცია სამკურნალო წყლებს რომელნიც გამოყენებულ უნდა იქმნას ამ საქმეში.

და აი თავი წამოყო კვლავ თფილისის საბალნეოლოგიო სადგურის დაარსების საკითხმაც. მარა თუ ვიგულისხმებთ, რომ ფბილ. საბჭოს საბანეოლოგიო კომისიის გამოანგარიშებითაც კი, მარტო აბანოების და მისთვის საჭირო მამულების გამოსასყიდლათ საჭიროა არა ნაკლებ ოთხი მილიონი მანეთისა, გზების გასაფართოებელ ადგილების უმისოთ. და საბალნეოლოგიო სადგურის სათანადოთ მოწყობა მოწესრიგებას დასჭირდება სულ უკანასკნელი თუთხმეტი მილიონი და თუ წარმოვიდგენთ რომ თფილისს ამოდენი ფულის შოვნა დღევანდელ პირობებში არ შეუძლია და ბიუროკრატია ვერც ამდენ ფულს გაიღებს და ვერც მოიცლის ამისთვის ასეთ საშინელ ქარტეხილის დროს, მისი განხორციელება მხოლოდ შორეული მომავლის საქმეა.

## რუსეთი.

ვიატკაში ეხლახან ხმოსნად არჩეული ვაჭარი კოხოლაპოვი თურმე სამხედრო ბეგრის მოხდას გაურბოდა, როცა ის დაიჭირეს და კომენდანტთან მიიყვანეს, უკანასკნელს გინება დაუწყო მინისტერთან გიჩივლებო.

— —

სახელმწიფო სათათბიროს მომავალი სესია განიხილავს სასურსათო საკითხს.

— —

მოსკოვის გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ პროტოპოპოვის მინისტრად დანიშვნა დიდი იმედების აღმძვრელი არ არის.

— —

პროტოპოპოვს მემარჯვენეები დეპეშით მიესალმნენ და მისწერეს იმედია ამ წელში ეს მეოთხე მინისტრი მაინც მოიმაგრებთ ფეხს და შეაერთებთ მთელ რუსეთსაო.

— —

„რუს სლოვო" სწერს: პროტოპოპოვის ჟურნალისტებთან საუბარიდან სჩანს მისი ახალი ბიუროკრატიული სულისკვეთება და ამის შემდეგ როგორ უნდა შეინარჩუნოს მან დეპუტატის სახელწოდება.

— —

მინისტრთა საბჭოს პირველ სხდომაზე პროტოპოვს წინადადება შეუტანია სპირტის მოვაჭრეებსა და რკინის გზის ბილეთების ჩარჩების დასჯის შესახებ.

— —

სინოდის ობერ პროკურორს, რაევს შესაძლებლად უცვნია ცნობილ მღვდელ ვოსტორგოვის ეპისკოპოსად კურთხევა.

— —

ბეჭვდითი სიტყვის პროექტის განხილვა სამინისტროში კვლავ შეუჩერებიათ. ნეტა როდის ეღირსება მზეზე გამოსვლა ამ პროექტს?! ეს მეექვსეთაა ზემოხსენებული პროექტი შეჩერებული და ყოველი მინისტრი თავისებურად აკეთებს მას.

— —

პროტოპოპოვს ყველა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე უნახულებია და მათთან უსაუბრია.

— —

პროტოპოპოვს მოუთხოვია საზოგადოებების და კავშირების პროექტი, რათა შეიმუშავოს იგი და მინისტრთა საბჭოში შეიტანოს. ამას გარდა ახალ მინისტრს აზრად ჰქონია საერობო რეფორმის განხორციელება.

— —

მაღალ წრეებში თანდათან იმ აზრს ადგებიან, რომ მიწათ მოქმედებას სურსათის მიწოდების საქმე უნდა ჩამოერთვას და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცეს. არა გვგონია, რომ ამით საკითხი გადაწყდეს.

— —

აზრად აქვთ ირკუტსკში უნივერსიტეტი დაარსონ. მომავალი უნივერსიტეტი მთელი აღმოსავლეთი ციმბირის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

— —

ნიჟნი ნოვგოროდში და სხვა ქალაქებში კვლავ აღმოუჩენიათ რამდენიმე ათი ათასი ფუთი გადამალული სურსათი.

— —

რუსეთის რამდენიმე ქალაქში ხის ძირებიანი ფეხსაცმელი გამოაქვთ ბაზარში. ფეხსაცმელს ბევრს ყიდულობენ.

— —

პროტოპოპოვს მოუსურვებია დეპუტატის სახელის შერჩენა, მაგრამ სათათბიროს თავმჯდომარეს თანამდებობაზე კი უარი განაცხადა და ეს ოფიციალურად შეატყობინა როძიანკოს.

— —

რადგანაც სამხედრო პირების ოქროსი და ვერცხლის ჯილდოებზე დიდი ძალი ოქრო წასულა ამ ომის განმავლობაში, ფინანსთა მინისტრ, ბარაკს მინისტრთა საბჭოში წინადადება შეუტანია, რათა სამხედრო ჯილდოები უფრო იაფ ფასიან ლითონისაგან იქნეს დამზადებული. მარტო წარსულ 1915 წლის განმავლობაში ჯვრებზე და მედლებზე 117 ფუთი ოქრო და 1,226 ფუთი ვერცხლი წასულა.

— —

პროტოპოპოვის მინისტრად დანიშვნა წინდაწინ სცოდნიათ როძიანკოსა და გუჩკოვს და დასტურიც დაუციათ მისთვის.

— —

მრეწველობის მობილიზაციას რუსეთში განაგრძობენ; ურალის მთებში გაუმჯობესებული იქნა მადნეულების დამუშავების პირობები; ისე, რომ ეხლა თუჯის დამუშავება 26% ით გაზრდილა, ხოლო ეკლიანი მავთულის დამუშავებამ ერთი ორად იმატა.

— —

გაზ. „რეჩი", „დენი" წინასწარ ცენზურას დაუქვემდებარეს. პროტოპოპოვის დანიშვნის შესახები მეთაურები ცენზურამ ორივე გაზეთში ამოშალა.

— —

გაზეთი „კიევი" 3000 მანეთით დააჯარიმეს.

## უცხოეთი.

დანიაში ჩვეულებრივი შემოდგომის საერთო ალლუმი დაიწყო.

— —

იაპონიის პრემიერი ახლო მომავალში თანამდებობიდან გადადგება. ოკუმას თავის მოადგილედ დაუსახელებია კატო, რომელიც საგარეო მინისტრად იყო და მოკავშირეების დიდი მომაგეა.

— —

ერთი კვირის წინ შემდგარმა დანიის სოციალ დემოკრატების კონგრესმა 297 ხმით წინაალმდეგ 32 ხმისა საჭიროდ სცნო სამინისტროში ერთი სოციალ-დემოკრატის უპორტფელო მინისტრათ გაყვანა. რიგსდაგის სოციალდემოკრატთა ფრაქციამ ერთხმად აირჩია შტაუნინგი.

— —

კოპენგაგენის გაზეთების ცნობით გერმანიაში მოსავალი წლეულს მცირე ყოფილა.

— —

ინგლისი კვლავ განაგრძობს შვეციაში საქონლის გაზიდვის შემცირებას.

— —

გერმანიის მთავრობის განკარგულებით, შვეციაში რკინის და ფოლადის გაზიდვა თითქმის სრულიად შესწყდა.

## ჩემი პასუხიც

**კულაშის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველს ბ-ნ კ—ძეს.**

დასასრული იხ. სამშ. №445.

ამისთანა სიმდიდრის ხმა 30 წლის წინეთ რომ გავრცელებია ვისმე იმაზე, შეიძლება, ვებ მადლობასაც ეტყოდა, მაგრამ დღეს კი მას ეს არაფრად ეპრიანება. საიდან მიიღო მან ასეთი სიმდიდრე? მამას არაფერი დაუტოვებია მისთვის; ცოლი მას არა ჰყოლია, რომ მისი მზითევით გამდიდრებულიყო!

სჯობს ნამდვილად გაცნობო პატივცემულ მკითხველთ ის გარემოება, რომელზედაც აუშენებია ბ. ნ. კ—ძეს ეს ბრალდება, თორემ იმის საბუთის პირსაც გამოიტანს და ხარჯი მოუვა, მეორე წელიწადი, რაც ოცმა სულმა კაცმა ცამეტი ათასი მანეთის მამული გამოიტანეს ბანკიდან ვალად თავის თავზე.

იმათში ურევია ის „მდიდარი" მასწავლებელიც, რომლის პირადად ნახარჯი ამაში არ აღემატება სამას მანეთს. და ეს სამასი მანეთი, ბ. ნ. კ—ძესაც კარგად მოეხსენება, დღესაც მართებს მას სხვების კულაშშივე. თუ არა სურს ამის დაჯერება, მიმართოს თავის სკოლის რომელიმე მასწავლებელს და ის კანონიერ საბუთებს უჩვენებს. ცხენი მას არა ჰყავდა და არცა ჰყავს და მეჯინიბე რათ უნდა? ბ. ნ. კ—ძეს ისიც არ გამოპარვია, რომ ერთხელ ეს „მდიდარი" მასწავლებელი კულაშში ერთ ემწვიდ კაცს შეპირდა—ცხენების მომვლელად დაგეყენებიაო ჩაითურაში 30 მანეთად თვეში ერთ მის ნათესავთან, რომელიც შავი ქვის მაღაროებში ცხენებს ამუშავებდა, მაგრამ ეს დაპირებაც ვერ აუსრულა, რადგანაც ომმა მოუსწრო. ეს გარემოებაც იმ მასწავლებლის წინაალმდეგ ბრალდებათ გამოუყენებია ბ. ზედამხედველს.

ბოდიშს ვიხდი პატივცემულ მკითხველების წინაშე ამ წერილის გაჭიანურებისათვის.

დასარჩენ, ბ. ნ. კ—ძის, მართლაც არეულ დარეულ და ბავშურ ფრაზებზე, რომლების წაკითხვის დროს, დარწმუნებული ვარ, მკითხველიც კი გაწითლდებოდა, პასუხს არ ვაძლევ; დავსძენ, თუ სურს ბ. ნ. კ—ძეს და თავის თავს რომელიმე მუხლში მართლადაც სთვლის, ინებოს მოიწვიოს როგორც მისი აგრეთვე მეზობელი სასწავლებლის მასწავლებლები, წააკითხოს ჩემი წერილიც „სამშობლოში", მისი მოყვანილი „დანოსიც" და თუ მათში აღმოჩნდეს ოდენაც ტყუილი რამ აღმოჩნდება, იმ შემთხვევაში სასჯელს ჩემ თავზე მივიღებ.

მასთან კიდევ ვურჩევ ბ. ნ. კ—ძეს წაიკითხოს „ახალი კვალი"ს 30 ნომერში სახალხო მასწავლებლის ხმა და ვნახოთ,—იცნობს ის იმაში თავის თავს, თუ პეტრეზე მიაშვერს ხელს. ვარწმუნებ, რომ „ახალ კვალში" წერილი შემთხვევით წავიკითხე და ის მე არ მეკუთვნის*).

მასწავლებელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ცნობა მივსცე ბ-ნ ნიკოლოზ გაბუნიას, რომელიც 20 სექტემბრის გაზეთ „სახალხო ფურცლის" ნომერში თხოულობს ცნობას მისი შვილის შესახებ; ნიკოლოზ გაბუნიას შვილი განჯიდან გადაყვანილ იქნა მოქმედ ჯარში და ჩარიცხულია 4 კავკასიის კორპუსში. მგზავრობის დროს დროგი გადაბრუნებულა და თან გადაყოლია. სილოვანიც რომელსაც, ერთი ფეხი საშინლად დაშავებია, მოთავსებულია აზაპგევის საველე ლაზარეთში. და აწ არაფერი უშავს. ვსთხოვ ბანძის მკითხველ საზოგადოებას აცნობონ ბ-ნ ნიკოლოზ გაბუნიას ეს ამბავი.

ელეფთერ ცომაია.

— —

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს გაზეთ „სამშობლოს" უახლოესს ნომერში.

**მღვდელს მ. არტაშეს გაფამაჯიანს.**

რაც გინდ სწორი [illegible] იყვეს ჩემი შეხედულება საკურორტო-[illegible] მოსპობის შესახებ, გამოთქმული [illegible] 438, 439 და 440 ნომრებში [illegible] შაული მიუძღოდ[illegible] იოილ ფანჩულიძეს, მე მაინც არავითარი უფლება არა მქონდა, რომ რაიმე შეურაცხება მეყენებია მისთვის ქუჩაში. ამიტომ გთხოვთ, როგორც ამ შემთხვევის ერთად ერთ მოწმეს, ბატონის „სამშობლოს" საშვალებით ამცნოთ მკითხველ საზოგადოებას ყოველივე ის, რისი მოწმეც თქვენ იყავით ქუჩაში ჩემსა და მღ. იოილ ფანჩულიძის შორის მომხდარ უსიამოვნების შესახებ. მანამდი კი ვსთხოვ ქართული გაზეთების რედაქციებს, თუ კერძო პირებს, თავიანთი აზრი და შეხედულება არ გამოსთქვან ამ საგნის შესახებ.*)

პატივისცემით, მღ. იასონ აბესაძე.

„21" სექტემბერი 1916 წ.

დ. ჩხარი.

*) რედაქცია უარს ვერ ეტყვის ბ-ნ ფანჩულიძეს თუ იგი გამოგზავნის საპასუხო წერილს, მსჯავრი კი საზოგადოებისაა. რედ.

*) უკეთესი საშუალება სიმართლის აღსადგენად შეუძლებელია. ჩვენ ვწყვეტთ ყოველგვარ კამათს ამ საგნის შესახებ და ბოდიშსაც ვითხოვთ მკითხველებთან მათის შეწუხებისათვის, თუმცა სწორედ ასეთი წერილებიდან სჩანს ხოლმე სულის კვეთება [illegible] ინტელიგენციისა და თვით სა[illegible] უნდა გაუწიოს ანგარიში ყოველი[illegible].

გაზეთი კი მოვალეა აღნიშნოს ყოველგვარი სიმახინჯე ჩვენის ცხოვრებისა, რომ აღარ განმეორდეს იგი!.. რედ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო".



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. |
| ტყიბულისაკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დილით | — 5 ს. 18 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა სა[illegible]თარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით. თ.

# ავი სენი.

უოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)

[illegible] სტამბა [illegible] — ქუთაისში
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან